




# ხაშუმის მთავრობა



№N22-23-24

17 ნოემბერი, სამშაბათი, 2015 წელი

საჯაროება დღევანდელი ხელისუფლების ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია, ხაშუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მუნიციპალიტეტის გამგეობა ნებისმიერ დოკუმენტს – იქნება ეს დადგენილება თუ რომელიმე ნორმატიული აქტი, საჯაროდ აცნობს რაიონის მოსახლეობას. ამ დღეებში მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა დაამთავრა მუშაობა 2015 წლის რაიონის მთავარ საფინანსო დოკუმენტზე და დღეს ჩვენი მკითხველი და ფართო საზოგადოება თვითონ გაეცნობა მის პროექტს. დღეიდან ნებისმიერ მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა გამოთქვას თავისი შენიშვნები თუ წინადადებები რაიონის ბიუჯეტის შესახებ. ნებისმიერი შენიშვნა და წინადადება კი მათ უნდა მიაწოდონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

## განმარტებითი ბარათი ხაშუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტით, ხაშუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განსაზღვრულია 10 205 700 ლარის ოდენობით, რაც 920 500 ლარით აღემატება 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტით, შემოსულობები დაგეგმილია 10 205 700 ლარის ოდენობით, მათ შორის გადასახადები (საშემოსავლო და ქონების გადასახადი) დაგეგმილია 2 850 000 ლარი, გათანაბრებითი ტრანზფერები – 4 986 700 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 229 000 ლარი, სხვა შემოსავლები -1 990 000 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება (შემოსავალი პრივატიზაციიდან) – 150 000 ლარი, აღნიშნული შემოსულობები, ძირითადად, დაგეგმილია 2015 წლის შემოსულობების ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 5 ოქტომბრის №04-03/104468 წერილის შესაბამისად, გადასახდელი (ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა) დაგეგმილია 10 205 700 ლარის ოდენობით.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელი შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

- შრომის ანაზღაურება – 1 834 600 ლარი;
  - საქონელი და მომსახურება – 933 100 ლარი;
  - სუბსიდიები – 4 796 200
  - სოციალური უზრუნველყოფა – 631 000 ლარი;
  - სხვა ხარჯები – 516 900 ლარი;
  - არაფინანსური აქტივების ზრდა – 1 493 900 ლარი.
- ხოლო ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა გადანაწილდა შემდეგი სახით:
- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 2 350 200 ლარი;
  - თავდაცვა – 214 000 ლარი;
  - ეკონომიკური საქმიანობა – 490 000 ლარი;
  - გარემოს დაცვა – 946 000 ლარი;
  - საბინაო კომუნალური მეურნეობა – 1 502 600 ლარი;
  - ჯანმრთელობის დაცვა – 195 000 ლარი;
  - დასვენება, კულტურა და რელიგია – 1 785 000 ლარი;
  - განათლება – 1 781 400 ლარი;
  - სოციალური დაცვა – 941 500 ლარი.

2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებლებთან შედარებით 2016 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი ძირითადი პარამეტრები გაზრდილია ცალკეული პროგრამებისა და ღონისძიებების მიხედვით. კერძოდ:

2016 წლის ბიუჯეტით, ხაშუმის მუნიციპალიტეტის საჯარო ინფრასტრუქტურის პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 300 000 ლარი, ხაშუმის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქუჩების განათების სისტემების მოვლა-შენახვის პროგრამის დასაფინანსებლად - 260 000 ლარი, ხაშურში და დაბა სურამში ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავების, ბორდიურებისა და კიუვეტების გაწმენდის, ხაშუმის მუნიციპალიტეტზე გამავალი გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიების გასუფთავების, ხაშუმის, დაბა სურამის და სოფლების ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღონისძიებების პროგრამის დასაფინანსებლად - 896 000 ლარი, ხაშუმის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სარიტუალო მომსახურების ხელშეწყობისათვის პროგრამის დასაფინანსებლად - 70 000 ლარი, უმეთვალყურედ დარჩენილი ცხოველების იზოლაციისათვის - 35 000 ლარი, გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების და დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობისა და მოვლა-პატრონობის პროგრამის დასაფინანსებლად - 270 000 ლარი, გაზრდილია აგრეთვე ხაშუმის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამის დაფინანსება, პროგრამა ვრცელდება 13 საბავშვო ბაღზე, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 1739 აღსაზრდელი, აღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად 2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1 321 000 ლარი.

ხაშუმის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელმწიფო საჯანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 188 800 ლარი, აღნიშნული პროგრამა მოიცავს ხაშუმის, სურამის და ქვიშეთის სამუსიკო სკოლების დაფინანსებას, სადაც მოსწავლეთა კონტიგენტი შეადგენს 464 მოსწავლეს, ერთი მოსწავლე ყოველთვიურად ფინანსდება 26 ლარით, სამივე სამუსიკო სკოლის გათბობის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 14 500 ლარი, ასევე ხაშუმის სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებლის ფუნქციონირების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომელიც ფინანსდება 24 000 ლარით, ხოლო სიმებიანი კვარტეტის ფუნქციონირების ხელშეწყობის ქვეპროგრამა ფინანსდება 5 520 ლარით

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების უცხო და მათი ფიზიკური აღზრდის

მიზნით 295 400 ლარით დაფინანსდება ხაშუმის კომპლექსური სპორტო სკოლა, სადაც სპორტის თორმეტ ძირითად სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე ხტომა, ძალოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვარჯიშობს 1370 ბავშვი. 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია აგრეთვე შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

- სპორტული ღონისძიებების პროგრამა - 278 500 ლარით;
- კულტურული ღონისძიებების პროგრამა - 130 000 ლარით;
- ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა - 20 000 ლარით;
- შემოქმედ ბავშვთა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 66 500 ლარით;
- მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 156 000 ლარით;
- ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 130 100 ლარით;
- ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 196 500 ლარით;
- საგამომცემო საქმიანობის ხელშეწყობა - 39 700 ლარით;
- რელიგიური, ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამა ფინანსდება 50 000 ლარით;

დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერიდან 2016 წლის ბიუჯეტით, დაგეგმილია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება 134 000 ლარით და ჯანდაცვის პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება 95 000 ლარით.

2016 წლის ბიუჯეტით დაგეგმილია აგრეთვე სოციალური პაკეტის დაფინანსება 941 500 ლარით, აღნიშნული პაკეტი შედგება შემდეგი პროგრამებისა და ღონისძიებებისაგან:

- უმწველთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა -135 000 ლარი;
- ასი და მეტი წლის უზუცესთა ერთჯერადი დახმარებები - 3 000 ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 37 700 ლარი;

ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარებები, დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები - 30 000 ლარი;

საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა ყოფა-ცხოვრების პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებები 30 000 ლარი;

სახელოვნებო სკოლების მოსწავლეების უფასო მომსახურების პროგრამა - 22 800 ლარი, პროგრამა ვრცელდება სახელოვნებო სკოლების (ხაშური, სურამი, ქვიშეთი) 190 მოსწავლეზე, ერთ მოსწავლეზე ყოველთვიურად გათვალისწინებულია 12 ლარი, კონტიგენტი მოიცავს ლტოლვილებს და სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის მოსწავლეებს;

სარიტუალო მომსახურების პროგრამა 5 000 ლარი;

კონფლიქტის ზონის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის პროგრამა 20 000 ლარი;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებების მიზნით განსაზღვრულია 658 000 ლარი;

2016 წლის ბიუჯეტით დაგეგმილია აგრეთვე მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, კერძოდ დაფინანსდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენობის რეაბილიტაცია - 80 000 ლარით, ხაშურში და დაბა სურამში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია - 50 000 ლარით, სპორტული მოედნებისა და სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები - 170 000 ლარით, სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯი - 120 000 ლარით, დაბა სურამში სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია - 100 000 ლარით, ხაშურში კულტურის სახლის რეაბილიტაცია - 200 000 ლარით, დაბა სურამში პოლიკლინიკის რეაბილიტაცია 100 000 ლარით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავის მოწყობა 70 000 ლარი, სოფლებში (ხცისი, ახალშენი, პატარა ფლევი) წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია 280 000 ლარით, დასრულებულია სოფელ ქვიშეთში საბავშვო ბაღისა და №3 საბავშვო ბაღის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე დაფინანსდება სოფლის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულია 393 900 ლარი.

ამრიგად, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში არსებულმა რესურსებმა მოგვცა ამ ეტაპზე წარმოდგენილი პროგრამების და ღონისძიებების დაფინანსების შესაძლებლობა, რომლებიც წლის განმავლობაში გაიზრდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შემდეგ.

**გაიონა გულაშვილი,**

ხაშუმის მუნიციპალიტეტის ბაზმეობის  
საბიუჯეტო სამსახურის უფროსი







**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების განხორციელების მდგომარეობის ანგარიშგამოკვეთილი ანგარიშგამოკვეთილი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების განხორციელების მდგომარეობის ანგარიშგამოკვეთილი ანგარიშგამოკვეთილი 5215,7 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
<b>გრანტები</b>	<b>10 066,8</b>	<b>10 191,4</b>	<b>5 215,7</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0	0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	10 066,8	10 191,4	5 215,7
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	6 397,5	6 475,7	5 215,7
გათანაბრებითი ტრანსფერი	6 168,5	6 246,7	4 986,7
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	229	229	229,0
<b>ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები</b>	<b>3 669,3</b>	<b>3 715,7</b>	<b>0</b>
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	2 740,8	2 860,5	0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	858,9	855,2	0
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0	0,0	0,0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	69,6	0,0	0

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების განხორციელების მდგომარეობის ანგარიშგამოკვეთილი ანგარიშგამოკვეთილი 1990,0 ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>1 788,2</b>	<b>1 638,8</b>	<b>1 990,0</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>203</b>	<b>273</b>	<b>400</b>
პროცენტები	63,9	60	100
დივიდენდები	0	0,0	0
რენტა	139,1	213	300
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2,1	3	4
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	398,5	376,5	390
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	397,6	375	390
სანებართვო მოსაკრებელი	34	25	30
სატენდერო მოსაკრებელი	0	0,0	0,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადასახდებლის მოსაკრებელი	0	0	0,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	185,7	150	160
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	177,9	200	200
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0,8	1,5	0
შემოსავალი მომსახურების გაყიდვიდან	0,8	1,5	0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 153,7	983,3	1 200,0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0	0	0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	33	6	0

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების განხორციელების მდგომარეობის ანგარიშგამოკვეთილი ანგარიშგამოკვეთილი 8711,8 ათასი ლარის ოდენობით.**

2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>ხარჯები</b>	<b>9 348,5</b>	<b>8 761,5</b>	<b>272,5</b>	<b>8 489,0</b>	<b>8 711,8</b>	<b>0,0</b>
შრომის ანაზღაურება	2 149,7	1 641,8	0,0	1 641,8	1 834,6	0,0
საქონელი და მომსახურება	1 712,0	1 250,7	86,3	1 164,4	933,1	0,0
სუბსიდიები	2 919,0	3 986,5	0,0	3 986,5	4 796,2	0,0
გრანტები	0,0	510,6	0,0	510,6	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	2 289,8	705	0,0	705	631	0,0
<b>სხვა ხარჯები</b>	<b>277,9</b>	<b>667</b>	<b>186,2</b>	<b>480,8</b>	<b>516,9</b>	<b>0,0</b>

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1343,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1493,9 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>73,3</b>	<b>53,8</b>	<b>0</b>
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	80
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2 692,5	5 632,7	620
განათლება	0	1 318,8	393,9
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	10,1	247	300
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	7,6	22,4	100
<b>სულ</b>	<b>2 783,5</b>	<b>7 274,7</b>	<b>1 493,9</b>

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 150,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>89,8</b>	<b>148,6</b>	<b>150</b>
მირითადი აქტივები	27,7	0	0,0
არაწარმოებული აქტივები	62,1	148,6	150
მიწა	62,1	148,6	150

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია.**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 485,7	2 196,6	2 350,2
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 442,4	2 193,2	2 350,2
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 442,4	2 166,1	2 320,2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	27,1	30
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	30,3	0	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	13	3,4	0
702	თავდაცვა	143,9	139	214
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	412,5	506	0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0	0	0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	412,5	506	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 824,9	5 633,2	490



7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	715,4	1 885,6	0
70421	სოფლის მეურნეობა	715,4	1 885,6	0
7045	ტრანსპორტი	1 189,3	2 427,3	300
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 189,3	2 427,3	300
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	920	1 320,3	190
705	გარემოს დაცვა	865,7	1 053,0	946
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	627,5	727,2	896
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	238,2	325,8	50
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	989,7	1 263,6	1 502,6
7061	ბინათმშენებლობა	12,8	18,5	70
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0	3	0
7063	წყალმომარაგება	325,5	219,6	307,6
7064	გარე განათება	499,7	701,5	620
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	151,6	321	505
707	ჯანმრთელობის დაცვა	96,9	112,4	195
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	96,9	112,4	195
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 135,2	1 641,0	1 785,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	444,1	506,6	573,9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	636,8	1 032,5	1 141,1
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	54,3	102	70
709	განათლება	976,9	2 480,3	1 781,4
7091	სკოლამდელი აღზრდა	916,7	2 383,6	1 714,9
7092	ზოგადი განათლება	0	0	0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0	0	0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	60,3	96,6	66,5
710	სოციალური დაცვა	2 200,5	1 011,1	941,5
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	91,9	89	138
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	536,1	739,8	718,5
7106	საცხოვრებელი უზრუნველყოფა	0	0	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	39,5	52	60
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 533,0	130,3	25
	სულ	12 132,0	16 036,2	10 205,7

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდლების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 30,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 229,0 ათასი ლარი მიიმართოს: ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 95,0 ათასი ლარი; ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 134,0 ათასი ლარი;

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადასაწილებად.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და სარეზერვო ძალების მობილიზაცია.

ა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზაცია. დაგეგმილია აგრეთვე იმ უნების რეაბილიტაცია, სადაც სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური მდებარეობს.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება აგრეთვე კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სანიტარული დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა.

ა. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება და რეაბილიტაცია, ზამთრის სეზონზე ქუჩების გაწმენდა თოვლის საფარისაგან.

ა.ა. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

დიდთოვლობის შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის განხორციელდება ხაშურში ცენტრალური ქუჩების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან დამაკავშირებელი შიდა გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება და მოწყობა.

ბ. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სანიტარული პირობების გაუმჯობესება, გარე განათების სისტემების მოწყობა, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია, აღნიშნული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ბ.ა. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია, რაც მოიცავს გარე განათების ობიექტების კვების უზრუნველყოფისა და მართვის სისტემების მწყობრიდან გამოსული ელემენტების ამოცვლა-დამონტაჟებას და ელექტროენერჯით უზრუნველყოფას.

ბ.ბ. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურში და დაბა სურამში ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ბორდიურებისა და კიუვეტების გაწმენდა, ხაშურის მუნიციპალიტეტზე გამავალი გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიების გასუფთავება, ხაშურის დაბა სურამის და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის დარიგების მომსახურება.

ბ.გ. საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურის და დაბა სურამის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია.

ბ.დ. წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 0302 05)

წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების გადახდა.

ბ.ე. უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას, ტერიტორიიდან მათი იზოლაცია და თავშესაფარში გადაყვანა.

ბ.ვ. ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.

გ. კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 04)

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რისთვისაც დაგეგმილია ხაშურის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, სპორტული მოედნებისა და სკვერების კეთილმოწყობა, სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებები. ასევე დაგეგმილია დღე-სასწაულების დროს ხაშურის გაფორმებითი ღონისძიებების დაფინანსება.

გ.ა. ქალაქის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხაშურში არსებული სპორტული მოედნების და სკვერების მოვლა-პატრონობა და დასუფთავება, რაც მოიცავს: დეკორატიული ბორდ-ბუჩქების გასუფთავებას ხმელი და ზედმეტი ტოტებისაგან, ნიადაგის დაბარვას და გასწორება-გაფხვიერებას, ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ნაგვის გატანას, გაზონების და ბალახების გათიბვას და გატანას, ხაშურში არსებული ხეების მოჭრა-გადაბეჭვას.

გ.ბ. სპორტული მოედნების და სკვერების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია.

გ.გ. მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული სასაფლაოების ტერიტორიის შემოღობვა. მისასვლელი და შიდა გზების მოხრეშვა, დასუფთავება და ნაგვის გატანა.



გ.დ. სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 04 08)

დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ზედამხედველობის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა.

გ.ე. ქალაქაფორმებითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა დღესასწაულების დროს ქალაქაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. პროგრამა მიმართულია თანამედროვე ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების მხარდასაჭერად.

ა. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამართული მუშაობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა წარმოადგენს, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 1739 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლებში (ვაყა, ხცისი, ნაბახტევი, ფლევი, ქვიშეთი, ტეხერი, ბიჯნისი, ჩუმათელეთი, წაღვლი, წრომი) სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფების ფუნქციონირების ხელშეწყობა. დაგეგმილია აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ბ. შემოქმედ ბავშვთა განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03)

აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენას და მათ მოზიდვას საგანმანათლებლო-სახელოვნებო სივრცეში, მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესებას ხელოვნების სხვადასხვა დარგებით, სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფას, პროგრამა მოიცავს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას და ფუნქციონირებისათვის უცილებელ მატერიალურ და ფინანსურ მხარდაჭერას.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

(პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩაბმას სპორტის სხვადასხვა სახეობებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

ა. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლები და სპორტული ღონისძიებები.

ა.ა. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, რაგბი, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობა მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში, რესპუბლიკურ ტურნირებზე სპორტსმენთა მივლინება, სასწავლო-საწვრთნელი და ფიზიკური მომზადებისათვის შეკრებების მოწოდება, სპორტსმენთა წახალისება, სპორტული ღონისძიებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ხელშეწყობა, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში სპორტის ეროვნული და პოპულარული სახეობების განვითარების ხელშეწყობა.

ა.ბ. სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მათი ფიზიკური აღზრდის მიზნით დაფინანსდება ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც სპორტის თორმეტ ძირითად სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე ხტომა, ძალოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვარჯიშობს 1370 ბავშვი.

ბ. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სახელოვნებო სკოლები, ბიბლიოთეკები, კულტურის ცენტრები, მუზეუმები და კულტურული ღონისძიებები, რაც გავლენას მოახდენს ახალგაზრდობის გემოვნების დახვეწაზე და მუსიკალური შესაძლებლობების გამოვლენაზე.

ბ.ა. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- \* 3 მარტს დედათა და 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- \* 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწოდება;
- \* 9 მაისის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 71 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- \* 26 მაისის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- \* ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა;
- \* სასწავლო წლის დასრულებისა და ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება;
- \* 1 ივნისს- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

- \* ქ. ნოვოგრად-ვოლინსკში ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაულში ხაშურის ინტელიგენციის მონაწილეობა;
- \* ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაულის "ღესიანობის" ჩატარება-ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- \* ლიტვაში, დაძმობილებულ ქალაქ რადვილინსკში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის ინტელიგენციის მონაწილეობა;
- \* ბელორუსიაში, დაძმობილებულ ქალაქ გორკში ქალაქის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- \* ლატვიაში, დაძმობილებულ ქალაქ ბაუსკაში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- \* პოლონეთში, დაძმობილებულ ქალაქ ტარნოვში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- \* თეატრის დღეების ორგანიზება;
- \* ხაშურის თეატრის გასტროლების ორგანიზება;
- \* 27 სექტემბერი-აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებული

- ღონისძიება;
- \* ფესტივალის „ხაშური - ოქროს შემოდგომა 2015“ ჩატარების ორგანიზება;
- \* ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები;
- \* შეხვედრა წარმატებულ ხაშურელებთან;
- \* კინო-ჩვენების ლიცენზირებასთან დაკავშირებული ხარჯი;
- \* საბავშვო-გასართობი შოუ-კონცერტის მოწოდება;
- \* კონცერტ ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით; 2008 წლის 8 აგვისტოს, საქართველო-რუსეთის, ომის ხსოვნის კვირეულთან დაკავშირებული ღონისძიება;
- \* 5 ოქტომბერს, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- \* 17 ოქტომბერს, ვეტერანთა დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- \* შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება;
- \* დაბა სურამში ფესტივალ „არტ გენის“ ორგანიზება;
- \* სხვადასხვა ღონის კულტურული ღონისძიებები;

ბ.ბ. სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული სამი სამუსიკო სკოლა, რომლებშიც სწავლობს 464 მოსწავლე. დაგეგმილია აგრეთვე დაბა სურამის სამუსიკო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება.

ბ.გ. ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით. ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რევისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა. ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა, წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით.

ბ.დ. კულტურის ცენტრების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ახალგაზრდობის ქუჩის მანეჟი ჩვეულებისაგან ჩამოშორების, მათი გემოვნების დახვეწისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების ზრდის მიზნით განხორციელდება კულტურული ღონისძიებები რაც ხელს შეუწყობს ხელოვნების სხვადასხვა უარის პოპულარიზაციას, ფოლკლორის განვითარებას, კულტურული და საგანმანათლებლო ღონის ამაღლებას, ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენასა და წახალისებას, თანამედროვე მუსიკის კონცერტების მოწოდებას, დაგეგმილია ხაშურის კულტურის სახლის რეაბილიტაცია.

ბ.ე. მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია, საზოგადოებასა და სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, აგრეთვე შიდა ქართლის მხარის ისტორიასთან დაკავშირებული მასალების შეგროვება და დაცვა. სამუზეუმო კატალოგების, ბიბლიოგრაფიების, სამეცნიერო-კვლევითი მასალების შედგენა და პუბლიკაცია.

ბ.ვ. საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი საინფორმაციო გაზეთის - „ხაშურის მთაშენი“ ყოველკვირეული გამოცემის დაფინანსება.

გ. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში ახალგაზრდა თაობის ჩართვის მიზნით დაფინანსდება:

- \* საჯარო სკოლების შორის შემოქმედებით-ინტელექტუალური კონკურსის „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო“ გამარჯვებულთა დაჯილდოება;
- \* ინტელექტუალური პროგრამების განხორციელება;
- \* პროექტ „ეტალონი“ მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობა და გამარჯვებულის დაჯილდოება ფასიანი საჩუქრით;
- \* პროექტ „ჯანსაღი გარემო ჯანსაღი მომავლისათვის“ ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები (ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, მარათონი სირბილში, ქალაქისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებისა და გამწვანების აქცია);
- \* წარმატებული სტუდენტებისათვის (ორი სტუდენტი) დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია;
- \* შშმ პირთა დღესთან დაკავშირებული ღონისძიება შშმ ახალგაზრდებისათვის;
- \* ადგილობრივი, რეგიონალური და რესპუბლიკური დონის სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები;

დ. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა და ტაძრების მიმდებარე ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

